17.02.2014

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №6

2014 წლის 7 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის გამარტივებული შესყიდვით, შატილის მიმართულებით განსახორციელებელი ავიარეისების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მიმართულებით ავიარეისების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით გათვალიწინებულია ავიარეისების შესყიდვა რაც "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უნდა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2013 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული ავიარეისით სოფელ შატილის საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები საშობაო არდადეგებთან დაკავშირებით გადმოყვანილ იქნენ ბარში.

სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, საჭიროა მათი დაბრუნება სოფელ შატილში, რაც დიდთოვლობისა და რთული კლიმატური პირობების გამო გამო შეუძლებელია განხორციელდეს ავტო-სატრანსპორტო საშუალებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ავია-სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის(ფრენის) შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით 2014 წლის 17 იანვარს გამოცხადდა ტენრედი რაც არ შედგა. იმის გათვალისწინებით, რომ განმეორებითი ტენდერის ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, ხოლო საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი უკვე განახლდა, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს ზემოაღნიშნული შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელებას.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "შ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა მასზედ, რომ სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით სოფელ შატილის საჯარო სკოლის

272
18-02-2014

142
14-02-2014

მასწავლებლებისა და მოსწავლეების დასაბრუნებლად, თვითმმართველი ერთეულის სახელით, გამარტივებული შესყიდვით აწარმოოს სოფელ შატილის მიმართულებით განსახორციელებელი ავიარეისის შესყიდვა.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ცარო საძაგლიშვილი